საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაათ ნოემბერს მე, ნოტარიუსს ჟენია ტარტარაშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, წმ.ქეთევან დედოფლის გამზირი #42-ში, მომმართა ზურაბ მელქაძემ, მან განაცხადა, რომ არის შპს „სქაი ჰაუსი“-ს დირექტორი და სურს მინდობილობით უფლებამოსილება გადასცეს კონსტანტინე დგებუაძეს. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად შპს „სქაი ჰაუსი“-ს დირექტორმა ზურაბ მელქაძემ (დაბ:20.09.1961წ. სამტრედია, პირადი № 37001006974, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, კორპუსი 1, ბინა 62, თანახმად ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, 13/04/2022 წელს, ს/კ 405357607) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ: მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა მას ხელი, რასაც ვადასტურებ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ზურაბ მელქაძე, როგორც შპს „სქაი ჰაუსი“-ს დირექტორი ვენდობი - კონსტანტინე დგებუაძეს (დაბ.15.12.1977წ. პირადი # 01017002402) და ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას, რომ იყოს ჩემი, როგორც, შპს „სქაი ჰაუსი“-ს დირექტორის წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში და შპს „სქაი ჰაუსი“-ს სახელით შეაგროვოს, ჩააბაროს, მიიღოს და ატვირთოს ნებისმიერი ტიპის დოკუმენტი და განცხადება, მათ შორის ბრძანებები, დაწეროს განცხადება, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში, განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება, წარმოადგენოს კომპანიის ინტერესები, გასცეს ნებისმიერ კითხვაზე პასუხი და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს.
მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით ანუ 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.
ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში. საკუთრების მიმნდობს წავუკითხე ეს მინდობილობა და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე ის, რომ მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა.
ეს მინდობილობა დადასტურებულია ჩემს, ნოტარიუს ჟენია ტარტარაშვილის მიერ, სანოტარო ბიუროში სანოტარო აქტი ხელმოწერილია ჩემი თანდასწრებით. მინდობილობის გამცემის ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა და პირადობა შემოწმებულია. საკუთრების მიმნდობმა პირადად წაიკითხა აღნიშნული მინდობილობა და მოაწერა ხელი.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30.00 (ოცდაათი) ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების - "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31.8-ე, 39.1 მუხლისა და დღგ 5.40 ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

მიმნდობი შპს „სქაი ჰაუსი“
წარმომადგენელი დირექტორი: ზურაბ მელქაძე

ნოტარიუსი: /ჟენია ტარტარაშვილი/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

77271788952522

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221638761

რეგისტრაციის თარიღი

30.11.2022 წ

ნოტარიუსი: ჟენია ტარტარაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №42
ტელეფონი: 2771600

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18